Г-383 № 2272

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კიროველი

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის, დირექციის, კომკავშირული კომიტეტის, პროფკომისა და აღგილკომის ორგანო

№ 9 (302)
ორშაბათი
Понедельник
9 აპრილი
апреля
1956 წ. г.
ფასი 20 კაპ.
Цена 20 коп.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Кировец

Орган парткома, дирекции, комитета комсомола, профкома и месткома ордена Трудового Красного Знамени Грузинского политехнического института имени С. М. Кирова

წერილი ვოროშილოვსკიდან

1954—55 სასწ. წელს დავამთავრე მეტალურგიის ფაკულტეტის შავი ლითონების სპეციალობა და სამუშაოდ მიმავლინეს ქ. ვოროშილოვსკის მეტალურგიულ ქარხანაში.

ახალგაზრდა სპეციალისტებს ქარხნის დირექცია კარგად შეგვხვდა. ყველა ჩვენგანი მუშაობს თავისი სპეციალობის მიხედვით. მე ვმუშაობ ბრძმედის ოსტატის თანაშემწედ. ახალგაზრდა სპეციალისტებს შეგვიქმნეს კარგი საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველგვყვეს კეთილმოწყობილი ბინებით.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ინსტიტუტში მიღებულ ღრმა ცოდნას ახლა, პრაქტიკული მუშაობის პერიოდში, ვაღრმავებთ. სწავლის პერიოდში შეძენილი თეორიული ცოდნა დიდად გვეხმარება პრაქტიკულად საქმის გადაწყვეტაში.

როგორც ცნობილია, მეტალურგიაში უკანასკნელ დროს ფართოდ ინერგება ეანგბადის დახმარებით ლითონების გამოდნობის ტექნოლოგია. ბრიგადა, რომელშიც მე ვმუშაობ, დადგა სკკპ-ის XX ყრილობისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე და ყოველდღიურ გეგმას 106—110%-ით ასრულებს, რაშიც დიდად გვეხმარება სწორედ აღნიშნული მეთოდის გამოყენება.

ჩვენი ფაკულტეტის გაზეთის „მეტალურგის“ საშუალებით მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს აღმზრდელ მასწავლებლებს, რომლებიც სწავლის პერიოდში ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ კარგად დავუფლებოდით ჩვენს სპეციალობას.

ვეცდები ყველგან და ყოველთვის ვასახელო მშობლიური ინსტიტუტისა და ფაკულტეტის სახელი.

ინჟინერი **ვ. ბახტაძე,**
ქ. ვოროშილოვსკი
(კედლის გაზეთ „მეტალურგიდან“)

ინსტიტუტის სასწავლო სახელოსნოში სტუდენტები პრაქტიკულად ეცნობიან თუჯის დნობის პროცესს. კვირაში ერთხელ ხდება ბოვის ამუშავება. ოსტატ მასწავლებლის ხელმძღვანელობით სტუდენტები ჯართისაგან ადნობენ თუჯს.

სურათზე: ბოვიდან თუჯის გამოშვების მომენტები.

Коммунисты обсудили итоги XX съезда КПСС

3 апреля состоялось собрание партийной организации института. Собрание заслушало доклад тов. Г. М. Заридзе „Об итогах XX съезда КПСС“.

Выступившие в прениях коммунисты т.т. П. Тавхелидзе, Г. Купрадзе, С. Мазмишвили, Р. Меладзе, З. Абуладзе, Ш. Саларидзе, Б. Келенджеридзе, В. Петросян, Б. Салуквадзе внесли ряд предложений, направленных на улучшение учебной, научно-исследовательской и политико-воспитательной работы в институте в свете решений XX съезда партии.

Собрание единодушно одобрило решения исторического XX съезда КПСС и приняло развернутое постановление.

Г. Ткешелашвили

ნარმოებასთან მეგობრობა

ა/წ. 29—30 მარტს თბილისის ცხიმის კომბინატში ჩატარდა ზეთების განუწყვეტელი რაფინაციისა და ჰიდროგენიზაციისადმი მიძღვნილი 1 სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრამ. მოსმენილი იქნა ოთხი მოხსენება, რომელთაგან ერთი მოხსენება თემაზე — ჰიდროგენიზაციის პროცესსე და ჰიდრირებულ ნაწარმის თვისებებზე მოქმედი ფაქტორების გავლენა—გააკეთა ორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტმა ლ. წულუკიძემ.

მოხსენებამ დიდი ინტერესი და გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

გამოსულმა ამხანაგებმა, ცხიმკომბინატის დირექტორმა ამხ. კ. მოისწრაფიშვილმა, მთავარმა ინჟინერმა გ. ურუშაძემ და სხვებმა, ერთსულოვნად აღნიშნეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის და კომბინატის ურთიერთმეგობრობის მნიშვნელობა და გამოსთქვეს სურვილი ამ მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს კომბინატს წარმოების განუწყვეტელ პროცესებზე გადასვლასა და მზა ნაწარმის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებაში.

დოც. **ვ. გიოშვილი**

ა. წ. 13 აპრილს, 5 ს. 30 წ., ფიზიკის აუდიტორიაში შედგება ლექცია თემაზე—ხალხთა მასების გადამწყვეტი როლი ისტორიაში. ლექტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ლომინაძე.

სტუდენტები წინასადიპლომო პრაქტიკაზე

ა. წ. იანვარ-თებერვალში სპი-ს მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის V კურსის 560 და 561 ჯგუფების სტუდენტები წინასადიპლომო პრაქტიკას გადიოდნენ მოსკოვის მოწინავე მანქანათმშენებელ ქარხნებში და ქ. გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. მოსკოვის ქარხნებიდან სადიპლომო პრაქტიკის ობიექტები იყო ორჯონიკიძის სახ. ჩარხმშენებელი ქარხანა, სამარჯვების ქარხანა, შიგსახები ჩარხების ქარხანა და ქ. ეგორიევსკის (მოსკოვის ოლქი) ქარხანა „კომსომოლეცი“.

სტუდენტების უმრავლესობა სერიოზულად მოეკიდა პრაქტიკას, ზოგიერთმა მათგანმა არა მარტო მაქსიმალურად გამოიყენა პრაქტიკის დრო, არამედ თვით წარმოებასაც გაუწია გარკვეული დახმარება ახლად ასათვისებელი პროდუქციის ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებასა და დანერგვაში. მაგ. სტუდენტი ჭიჭინაძე სამარჯვების ქარხანას დაეხმარა ვახნა УТР 250-ის დეტალების ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებაში, ეს ტექნოლოგიური პროცესი ქარხანამ მიიღო წარმოებაში დასანერგავად. სტუდენტებმა ჩხიკვიშვილმა და ლაშხმა კი დაამუშავეს ჰიდრომომჭერის „Г—1“-ის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი, რითაც ქმედითი დახმარება გაუწიეს სამარჯვების ქარხანას.

ამ სტუდენტების კარგი მუშაობის შესახებ აღნიშნეს სამარჯვების ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ვოროდოვმა და ამავე ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა კოსოვსკიმ.

სტუდენტებმა ლობჟანიძემ, ო. ნიკურაძემ, ციბალაშვილმა, თევზაძემ, მურღულიამ შეისწავლეს საინტერესო მასალები წარმოების კონკრეტული ეკონომიკის და ტექნოლოგიური პროცესებიდან.

სტუდენტები გაეცვნენ აღნიშნული ქარხნების პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესებს და მოისმინეს ხელმძღვანელი ტექნიკური და საგეგმოეკონომიური განყოფილების მუშაკების ლექციები პროდუქციის თვითღირებულების, წარმოების დაგეგმვის და სხვა საკითხებზე. ასევე დიდი ინტერესით მოისმინეს ორჯონიკიძის სახ. ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორის ამხ. კოზიჩევის მოხსენება საფრანგეთის ჩარხმშენებელი და საავტომობილო ქარხნების დათვალიერების შედეგად მიღებული შთაბეჭდილების შესახებ.

სტუდენტები იყვნენ საწარმოო ექსკურსიებზე მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების, ბურთულასაკისრების I ქარხანაში, სადაც ნახეს ავტომატური ხახი, რომელიც 40 ჩარხისაგან შედგება, გაეცვნენ ამ საწარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, წარმოების ორგანიზაციას და სხვ.

თავისუფალ დროს სტუდენტები ეცნობოდნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. დაათვალიერეს ლენინისა და სტალინის მავზოლეუმი, კრემლი და მისი დარბაზები.

სტუდენტმა პრაქტიკანტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტის მოწყობასა და ჩატარებაში. 26 იანვარს მოეწყო მეგობრობის საღამო-კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტებმა, გოლაშვილმა, მურღულიამ, ლაშხმა, გორდეზიანმა, დოლიძემ და ქარხნის თვითმოქმედების კოლექტივებმა. ქარხნის ალკკ კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა სტუდენტ პრაქტიკანტებს ასეთი საღამო-კონცერტის გამართვისათვის.

უნდა აღინიშნოს პრაქტიკის ნაკლოვანი მხარეებიც. ზოგიერთი სტუდენტი არასერიოზულად მოეკიდა პრაქტიკას, მაგ. სტუდენტი ზვიადაძე დაგვიანებით გამოცხადდა პრაქტიკის ობიექტზე, ი. ნიკურაძე და ლუარსაბიშვილი ყოველდღე არ დადიოდნენ ქარხანაში ან აგვიანებდნენ.

ქარხნების „კრასნი პროლეტარის“ და ქ. ეგორიევსკის „კომსომოლეცის“ დირექციებმა უარი განაცხადეს სტუდენტების მიღებაზე პრაქტიკის დაწყების წინ, რის გამოც პრაქტიკის ხელმძღვანელებს ბევრი დრო და ღონისძიება დასჭირდა, რომ შესაბამისი სამინისტროს საშუალებით გამოენახა სხვა შესაფერი ობიექტები სადიპლომო პრაქტიკისათვის.

ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს ჩვენი ინსტიტუტის საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ, რომ ასეთი შემთხვევები მომავალში მაინც არ განმეორდეს.

დოც. **ბ. კელენჯერიძე.**

О чем они думают?

Известно, что физика один из основных предметов преподаваемых в институте. Велика роль физики в общетехническом развитии студентов. Основательное знание этой дисциплины позволяет быстро овладевать современной техникой.

Этого однако еще не уяснили себе студенты 354 и 356 групп. Прошла уже половина семестра, но большинство из них еще не приступило к самостоятельным занятиям. Э. Лахонин, Г. Закакуева, З. Джохтаберидзе (354 гр.), к лабораторным занятиям не допущены, т. к. до сих пор не потрудились выучить несколько страниц введения к лабораторным задачам. Ничуть не лучше их положение и на практических занятиях. Плохо обстоит дело с учебой по физике и у студентов 354 группы И. Гогитидзе, Г. Кинцурашвили, А. Ставраниди.

Еще хуже положение у 356 гр. Здесь вообще считают, что посещение практических занятий необязательно. Так, например, А. Бурмистров, Г. Сахечидзе, ни разу не присутствовали на занятиях. Много пропусков и у Э. Барамидзе, Н. Беридзе, Т. Гвелесиани, Е. Джугурова и А. Шулькина.

Половина семестра уже позади. Но, очевидно, студенты 354 и 356 групп считают, что важно попасть в институт, а там общей волной их вынесет к пятому курсу, они получат диплом инженера, не прилагая никаких усилий.

Наши тревожные сигналы остаются безрезультатными. Деканаты, партийные и комсомольские организации мало интересуются судьбой этих групп.

И. Каверкин, А. Арабидзе,
ассистенты кафедры физики

თეორიული კონფერენცია

ა. წ. 18 აპრილს, დღის 4 საათზე, 29 აუდიტორიაში, მეტალურგიის ფაკულტეტის ალკკ ბიურო და პოლიტიკური ეკონომიის კათედრა აწყობს სტუდენტთა თეორიულ კონფერენციას მიძღვნილს სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლისადმი.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნება მოხსენებები:

1. სკკ პარტიის XX ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა — მომხს. სტუდენტი ანჩაბაძე.

3. სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები მეექვსე ხუთწლედში — მომხს. სტუდენტი ხოფერია.

3. ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ამოცანები მეექვსე ხუთწლედში — მომხს. სტუდენტი ვაშაყმაძე.

4. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ამოცანები — მომხს. სტუდენტი გოგიბერიძე.

5. სახალხო მეურნეობის განვითარება მოკავშირე რესპუბლიკებში და საწარმოო ძალების განლაგება—მომხს. სტუდენტი პეტრიაშვილი.